გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 66

2025 წლის 13 მაისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გადაუდებელი აუცილებლობის გამო შეტანილი საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა მისი დღის წესრიგის, ჩატარების ადგილისა და დროის ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოცხადების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რა დროსაც გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს სიტუაციას, როცა არსებობს კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ვითარებას, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას. სხდომის გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარების შემთხვევაში, ამავე კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო განმარტავს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საკრებულოს მორიგ სხდომაზე გადაუდებელი აუცილებლობის გამო შეტანილი საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გადაუდებელი აუცილებლობის გამო შეტანილი საკითხის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ პირს აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების შედეგად მიადგა უშუალო ზიანი – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**